სამუშაო ძალის განვითარებისთვის განსაზღვრული საკონკურსო წინადადების წინასწარი მონახაზი

<u>შესავალი</u>

ამერიკის შეერთებული შტატების „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ“ (MCC) ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დონის შემცირების ხელშეწყობის მიზნით 2011 წლის დეკემბერში საქართველო შეარჩია MCC-ის მეორე ხუთწლიანი კომპაქტის უფლებამოსილ ქვეყნად. კომპაქტის შემუშავების პროცესის წინასწარი მოლაპარაკებების პერიოდში საქართველოს მთავრობამ (1) მთავარ პრიორიტეტად მიიჩნია ადამიანური კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესება, განსაკუთრებით კი კვალიფიციური ტექნიკური სპეციალისტებისა და პროფესიონალების დეფიციტის, როგორც ქვეყნის უწყვეტი განვითარების ძირითადი ხელშემშლელი პირობის, აღმოფხვრა ეკონომიკურ სექტორებში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა (2) კომპაქტის განხორციელების დეტალური პროგრამა, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს პროფესიული განათლების (TVET) განვითარების ხელშეწყობა.

ბოლოდროინდელ კვლევებში ხაზი გაესვა საქართველოში შრომით ბაზარზე არსებულ კვალიფიკაციასა და მრეწველობისთვის საჭირო კვალიფიკაციას შორის შეუსაბამობას. აღნიშნულ მოხსენებებში ყურადღება გამახვილებული იყო სამუშაო გამოცდილების ხარისხის გაზრდის აუცილებლობაზე, რათა დაკმაყოფილდეს მრეწველობისა და ბიზნესის მოთხოვნები. მოცემული კვლევა პრიორიტეტს ანიჭებს IV და V დონეების სამუშაო კვალიფიკაციის ამაღლებას, განსაკუთრებით კი მშენებლობის, ტრანსპორტის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში. მართალია, კომპაქტის TVET პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი გეგმა ხაზს უსვამს სამუშაო კვალიფიკაციის პრიორიტეტულობას IV და V დონეებზე, მაგრამ ასევე აუცილებელია I – III დონეებისთვის მოკლევადიანი მოსამზადებელი პროგრამების შემუშავება და უწყვეტი განათლებისა და გადამზადების შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

კვლევებმა აჩვენა შემდეგიც: მიუხედავად იმისა რომ არსებული TVET პროგრამები (განსაკუთრებით I–III დონეებზე) უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი სტუდენტების[1]დაფინანსების შესაძლებლობას, შეიმჩნევა გენდერული უთანასწორობა პროგრამაში სტუდენტების ჩართვასა და გადამზადებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ზოგიერთი ტიპის პროფესიულ საკვალიფიკაციო / TVET პროგრამაში მამაკაცებთან შედარებით უფრო ნაკლები რაოდენობის ქალები არიან ჩართული. IV და V დონეებზე ასევე საჭიროა ყურადღება მიექცეს სოციალურად დაუცველი და/ან ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი სტუდენტების ადეკვატური მონაწილეობის უზრუნველყოფას.

<u>წინამდებარე კონკურსის მიზანი</u>

პროექტის მიზანია ინფორმაციის უზრუნველყოფა იმის შესახებ, თუ როგორ შეასრულებს საქართველოს მთავრობა წარმოდგენილ TVET პროექტს კომპაქტის ფარგლებში, **ასევე პროფესიული განათლების სექტორში შემდგომი საგრანტო პირობების სრულყოფა. კონკურსის შედეგები გამოავლენს სფეროში არსებულ საჭიროებებსა და გამოწვევებს. კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების საფუძველზე** „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია“ (MCC) **და** ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველო[2] (MCA-G) **შეიმუშავებენ საგრანტო კონკურსის მეორე ეტაპს, რომლის გამარჯვებულები დაფინანსდებიან კომპაქტის ფარგლებში პროფესიული განათლების განვითარების პროგრამისათვის გამოყოფილი თანხიდან.**

<u>საკონკურსო გრანტი</u>

საქართველოს მთავრობა და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია განიხილავენ **კომპაქტის ფარგლებში** 12-15 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის საკონკურსო გრანტის

---

[1] **განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ.**

[2]ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველო წარმოადგენს სპეციალური მიზნით შექმნილ უწყებას, რომელსაც აფუძნებს საქართველოს მთავრობა კომპაქტით გათვალისწინებული პროგრამის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

გამოყოფის საკითხს, რათა უზრუნველყონ პროფესიული განათლების პროგრამების თანადაფინანსება. აღნიშნული შესაძლებლობა მოიცავს ქვემოთ წარმოდგენილ ორ კომპონენტს. ბენეფიციართა დიდი რაოდენობისა და მაქსიმალური შედეგის მისაღწევად დასაშვებია როგორც დიდი, ისე მცირე ბიუჯეტის მქონე განაცხადებიც.

<u>კომპონენტი 1</u> საკონკურსო გრანტი ითვალისწინებს გრანტების გამოყოფას მოქმედი ორგანიზაციებისთვის შრომითი ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი[3] ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის ან არსებული პროგრამების განახლებასთან დაკავშირებით. შერჩეული პროექტებისთვის გამოიყოფა დაფინანსება მათი ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. ინვესტიციების სავარაუდო ტიპებია: ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სასწავლო პროგრამების შემუშავება და/ან განახლება, თანამშრომლობა უცხოელ მომწოდებელთან, სხვა სახის ტექნიკური დახმარება. ასევე მისაღებია საკონკურსო განაცხადები (ან ტექნიკური დახმარების მოთხოვნით წარმოდგენილი წინადებები), რომლებიც ითვალისწინებს უცხოელ კოლეგებთან/უწყებებთან თანამშრომლობასაც. პროგრამული კომპონენტის მოცულობა მერყეობს $500 000-$3 000 000 ფარგლებში.

<u>კომპონენტი 2</u> საუკეთესო არსებული პრაქტიკის გამოვლენა. პროექტები გამოავლენს და ხელს შეუწყობს არსებულ ან იმედის მომცემ პრაქტიკულ გამოცდილებას. პრაქტიკული გამოცდილების მაგალითები ითვალისწინებს: სამრეწველო დისციპლინური საკონსულტაციო კომიტეტების გამოყენებას, კარიერული საკონსულტაციო სამსახურების ან სტიმულის ხელმისაწვდომობას, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიულ განათლებაში გენდერულ და სოციალურ თანასწორობას, პროგრამაში მონაწილეობასა და დასაქმებას; მრეწველობის სპეციალისტების (როგორებიც არიან პრაქტიკული კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები) შრომის გამოყენებას; იმ ღონისძიებების ხელშეწყობასა და მხარდაჭერას, რომლებიც უზრუნველყოფს წვდომას არახელსაყრელ პირობებში მყოფი ჯგუფებისთვის. გრანტები ხელს შეუწყობს TVET პროვაიდერების პრაქტიკულ გამოცდილებას და გამოყოფს სახსრებს დოკუმენტაციის შედგენასა და გამოვლენილი პრაქტიკული გამოცდილებების დანერგვაზე. მეორე კომპონენტში წარმოდგენილი გრანტების ბიუჯეტი განისაზღვრება $100 000-$400 000 ფარგლებში.

<u>ვინ უნდა უპასუხოს აღნიშნულ მოწვევას?</u>
მოწვევა ხელმისაწვდომია ნებისმიერი სახელმწიფო უწყებისთვის, საჯარო თუ კერძო კომპანიისთვის ან კორპორაციისთვის, პროფესიული გაერთიანებისთვის, პროფესიული განათლების განმახორციელებელი ორგანიზაციისთვის, უნივერსიტეტისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ სხვა იურიდიული პირებისთვის, რომლებიც საქმიანობენ ან აპირებენ საქმიანობის დაწყებას პროფესიული/ტექნიკური სწავლებისა და განათლების უზრუნველყოფის სფეროში. პროგრამების შემუშავება ან არსებულის განახლება გულისხმობს იმ პროგრამებს, რომელთა გავლის შემდეგაც გაიცემა პროფესიული სერტიფიკატები, დიპლომები და პრაქტიკული ცოდნის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები, რაც მისცემს საშუალებას კურსდამთავრებულებს უპასუხონ შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. ძირითადი კრიტერიუმები იქნება დასაქმებული ბენეფიციარებისა და მათი შემოსავლების ზრდა. კორპორაციულ მუშაკებზე გათვლილი შიდა პროგრამები არ არის გათვალისწინებული/უფლებამოსილი.

---

[3] მაგალითისთვის, შრომითი ბაზრის დიდი მოთხოვნა შეიძლება ნაჩვენები იქნეს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი დონით, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა მჭიდრო კომუნიკაციით, დამსაქმებელთა მზაობით გამოყენებული იქნეას მათი მატერიალურ ტექნიკური ბაზა, დამსაქმებელთა თანხმობით მონაწილეთა სტაჟირებაზე, დამსაქმებელთა სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა პროგრამაში.

საგანმანათლებლო სფეროში არსებულ მომწოდებლებსა (საჯარო და კერძო) და უწყებებს შეუძლიათ წარმოადგინონ იდეები:

1) ახალი პროგრამების შექმნასთან დაკავშირებით, რომელთა საფუძველზეც ხდება არსებული პროგრამების შემოთავაზება, განახლება ან გავრცობა;
2) პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებასთან დაკავშირებით, პროფესიული განათლების/TVET უზრუნველყოფისას.

<u>როგორ ხდება მონაწილეობის მიღება</u>

წერილობითი წინადადება. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ **პროექტები**/წინადადებები პირველი დანართით გათვალისწინებულ ფორმატში.

<u>რა ხდება 'იდეების წარმოდგენასთან დაკავშირებით მოწვევის' შემდეგ</u>

I. იმ შემთხვევაში, თუ "იდეების წარმოდგენასთან დაკავშირებით მოწვევა" გამოიწვევს საკმარის დაინტერესებას და ეფექტურ წინადადებებს (იხილეთ შეფასების კრიტერიუმები), საქართველოს MCC კომპაქტის ფარგლებში მოხდება დეტალური საოპერაციო სტრუქტურის მქონე შესაბამისი საგრანტო შესაძლებლობის შემუშავება და ჩართვა.
II. მოთხოვნა წინადადებებთან დაკავშირებით დაიწყება საქართველოს MCC კომპაქტის ფარგლებში.
III. წარმოდგენილ წინადადებებს შეაფასებს დამოუკიდებელ პროფესიულ ექსპერტთა ჯგუფი გამოქვეყნებული კრიტერიუმების შესაბამისად.
IV. მოხდება საუკეთესო შეფასების მქონე წინადადებების დამტკიცება და დაფინანსება გამოყოფილი სახსრების ფარგლებში.

<u>წარმოდგენილი **განაცხადების** შეფასება</u>

პრიორიტეტი მიენიჭება იმ პროგრამებთან დაკავშირებით წარმოდგენილ იდეებს, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება კერძო სექტორის თანამშრომლობა და მრეწველობის სფეროში ჩართვა. პრიორიტეტი მიენიჭება ასევე იმ პროგრამებთან დაკავშირებით წარმოდგენილ იდეებს, რომლებიც კონკრეტულად ითვალისწინებს გენდერული და სოციალურად დაუცველი პირების უთანასწორობას TVET-ში მონაწილეობისას.

ჩვენ ორიენტირებულნი ვართ იდეების სწრაფ, გამჭვირვალე და სამართლიან შეფასებაზე. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო მოიწვევს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე მოქმედი პირებისგან დაკომპლექტებულ ექსპერტთა კომიტეტს. კომიტეტი განიხილავს იმ ფაქტს, თუ რამდენად აკმაყოფილებს პროექტები ქვემოთ წარმოდგენილ კრიტერიუმებს და თუ როგორ შეუძლიათ მათ ხელი შეუწყონ კომპაქტით გათვალისწინებული საყოველთაო მიზნების განხორციელებას, რომლებიც ჩამოთვლილია ზემოთ მოყვანილი 'მიზნების' პუნქტში, მოცემულ სექტორში საქართველოს მთავრობისა და სხვა დონორების ინიციატივების გათვალისწინებით.

კერძოდ შეფასების ექსპერტთა ჯგუფი განიხილავს შემდეგს:

- პარტნიორობები
    - შემოთავაზებული ინვესტიციების ტიპები (ანუ ობიექტის კეთილმოწყობა; აღჭურვა; მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; სასწავლო

პროგრამების შემუშავება, თანამშრომლობა უცხოელ მომწოდებელთან; სხვა სახის ტექნიკური დახმარება; პოტენციური ჯგუფის მოცულობა);
  - წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობა და მიწოდების ვადა;
  - კერძო სექტორის დახმარების ან სამრეწველო საქმიანობის სახე და დონე;
  - აკადემიური პარტნიორობა და პარტნიორთა მონაწილეობის დონე;
  - კვლევის სფერო;
  - პროგრამების მდგრადობა;
  - წარმოდგენილი უწყების გამოცდილება და ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობები;
  - გავლენა, რომელსაც პროექტი მოახდენს ქალებისა და სოციალურად დაუცველი ჯგუფების სასარგებლოდ;
  - შეფასების კრიტერიუმების არსებობა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია განისაზღვროს პროგრამის წარმატების ხარისხი.
- **დასაბუთება**, რომ მოთხოვნილი დაფინანსება აკმაყოფილებს მოწვევის პირობებს.
- პარტნიორის მონაწილეობის (ფულადი თუ არაფულადი სახის) დონე/არსი.
- აკადემიური პარტნიორობა და პარტნიორის მონაწილეობის დონე.
- შემოთავაზებული პროგრამის განხორციელების ვადა, დაწყების თარიღისა და პროგრამის ხანგრძლივობის ჩათვლით.
- პროექტით გათვალისწინებული პოტენციური ჯგუფის მოცულობა, რომელსაც შეეძლება ისარგებლოს წარმოდგენილი პროგრამებიდან.
- ტექნიკური დახმარება, რომელიც შესაძლებელია საჭირო გახდეს აღნიშნული გრანტის მართვის მიზნით.

<u>ძირითადი თარიღები და ვადები</u>

		თარიღი
1	**საკონკურსო წინადადების** გამოქვეყნება	25 იანვარი, 2013 **წ.**
2	**პროექტების მიღების** ბოლო ვადა	15 თებერვალი 2013 წ.
3	**პროექტების** წერილობითი შეფასება	თებერვალი-**მარტი**, 2013 წ.

<u>რეგისტრაცია, შეკითხვები/განმარტებები და წარდგენა</u>

- ყოველმა დაინტერესებულმა კანდიდატმა უნდა დაარეგისტრიროს საკუთარი დაინტერესება ელ-ფოსტით: call@mcageorgia.ge
- შეკითხვები და განმარტებები წარდგენილ უნდა იქნას წერილობითი სახით ელ-ფოსტაზე: call@mcageorgia.ge
- ყოველ შეკითხვას (**წარმოდგენილს ქართულ და ინგლისურ ენებზე**) პასუხი გაეცემა წერილობით და გავრცელდება ყველა დარეგისტრირებულ პრეტენდენტს შორის (www.mes.gov.ge, www.mcageorgia.ge)
- შეკითხვებს (**წარმოდგენილს ქართულ და ინგლისურ ენებზე**) პასუხი გაეცემა ათი სამუშაო დღის განმავლობაში. შეკითხვების წარდგენის ბოლო ვადაა 31 იანვარი.

შენიშვნა:

ყოველ მონაწილეს ეცნობება, რომ წინამდებარე განცხადება არ ითვალისწინებს ისეთ პირობას, რომელიც დააკისრებს ვალდებულებას ან პასუხისმგებლობას ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს, საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გამოყოს დაფინანსება ან უზრუნველყოს დახმარება შემოთავაზებულ საქმიანობებთან ან ინდივიდუალურ საქმიანობებთან დაკავშირებით. საბოლოო დაფინანსება წარმოადგენს მოლაპარაკებების, დამტკიცებისა და შეთანხმების გაფორმების საგანს. "იდეების წარმოდგენასთან დაკავშირებით მოწვევაზე" პასუხის მიღება არ იძლევა აღნიშნული პროექტის დაფინანსების გარანტიას.

დანართი 1

მოწვევაზე პასუხის გაცემის ფორმატი

ზოგადი კომენტარები

- **პროექტები** წარმოდგენილი უნდა იყოს არაუმეტეს 5 გვერდზე. ინფორმაცია თქვენი ორგანიზაციის შესახებ შესაძლებელია თან დაერთოს დანართის სახით და არ იყოს გათვალისწინებული აღნიშნულ 5 გვერდში.
- **პროექტები** წარმოდგენილი უნდა იყოს <u>ინგლისურ და ქართულ ენებზე.</u>
- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველომ უნდა მიიღოს პასუხები არაუგვიანეს 15 **თებერვლის 18.00 საათამდე**.
- **პროექტები** იგზავნება ელ-ფოსტით call@mcageorgia.ge
- <u>**ქვემოთ წარმოდგენილი ყველა პუნქტი უნდა შეივსოს**</u>.

№	პუნქტი	კომენტარი
1.	სამოტივაციო წერილი	წინამდებარე წერილს ხელი უნდა მოაწეროს თქვენი ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა (ან უფროსმა მენეჯერმა) და ნებისმიერმა მონაწილე პარტნიორმა და მასში გარკვევით უნდა იყოს მითითებული მხარდაჭერა მოწვევისა და კომპაქტით გათვალისწინებული პროექტების მიმართ. წერილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1/2 გვერდს.
2.	იურიდიული პირი	მიუთითეთ თქვენი ორგანიზაციის იურიდიული მონაცემები.
3.	საკონტაქტო მონაცემები	მიუთითეთ, თუ როგორ დაგიკავშირდეთ და იმ საკონტაქტო პირის ვინაობა, რომელიც ჩვენ მოგვაწვდის მეტ ინფორმაციას საჭიროების შემთხვევაში.
4.	დაფინანსების რომელი კატეგორია?	გარკვევით მიუთითეთ, თუ რომელ კატეგორიაზე აკეთებთ მიმართვას. შეესაბამება თუ არა თქვენი პროექტი პირველ ან მე-2 კატეგორიას?
5.	თქვენი სამუშაო TVET სექტორში?	მიუთითეთ პროგრამა, რომელსაც გვთავაზობთ ამჟამად, თქვენი მიმდინარე სწავლების შესაძლებლობა პერსონალისა და ფიზიკური შესაძლებლობების თვალსაზრისით.

6.	თქვენი პროექტი	მოკლედ ჩამოაყალიბეთ თქვენი პროექტი
		• ძირითადი ეტაპების/ფაზები, შედეგების რეზიუმე, ვინ იქნება ჩართული და ფასები (ჩვენ არ გვჭირდება პროექტის დეტალური გეგმა). გარკვევით მიუთითეთ:
		  ○ პროგრამის მოქმედების არეალი (კონკრეტული სერტიფიცირება ან სერტიფიცირების დისციპლინები, რომელთა შემუშავებაც გსურთ);
		  ○ რატომ ეს პროგრამა? (რეალიზებადობის

		პოტენციალის დადასტურება); ○ თქვენი პროექტის ჯამური ღირებულება[4]; ○ სავარაუდო სწავლების დონე და პროგრამის ხანგრძლივობა; ○ რამდენად ისარგებლებენ თქვენი პროექტით ქალები და/ან სოციალურად დაუცველი ჯგუფები? ○ როგორ განაგრძობს თქვენი პროექტი საქმიანობას ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს დახმარების დასრულების შემდეგ?
7.	**პროექტის მდგრადობა**	**აღწერეთ, თუ როგორ გააგრძელებს თქვენი პროექტი ფუნქციონირებას MCA-ს დაფინანსების დასრულების შემდეგ.**
8.	კომპაქტთან შესაბამისობა	როგორ შეესაბამება თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი ზემოაღნიშნულ კომპაქტით გათვალისწინებულ მიზნებს?
9.	კავშირები	როგორ უკავშირდება თქვენი პროექტი საქართველოში TVET სექტორში განხორციელებულ სხვა სამუშაოებს?
10.	სახსრების შესაბამისობა	რა სახის ფინანსურ წვლილს შეიტანს თქვენი ორგანიზაცია ან პარტნიორები პროექტში? რა სახის არაფულად დახმარებას უზრუნველყოფს თქვენი ორგანიზაცია ან პარტნიორები (მაგალითად, სტიპენდიები, სწავლება, აღჭურვილობა და ა.შ.)?
11.	შეფასების კრიტერიუმები	რა განსაკუთრებული გზებით შეიძლება წინამდებარე პროექტის შედეგების განსაზღვრა? (მაგალითად, კურსდამთავრებულების შემოსავლების გაუმჯობესება, დასაქმების დონის გაუმჯობესება და ა.შ.)
12.	სხვა საკითხები, რომლებიც თქვენი აზრით არის მნიშვნელოვანი	სხვა ძირითადი საკითხების ჩამონათვალი, რომელიც თქვენი აზრით უნდა ვიცოდეთ.
13.	თქვენი ორგანიზაცია	დაურთეთ (არა 5 გვერდის ნაწილის სახით) ზოგადი ინფორმაცია თქვენი ორგანიზაციის შესახებ. გთხოვთ აღნიშნეთ, მიღებული გაქვთ თუ არა და/ან მიმართავთ თუ არა დაფინანსებას საქართველოს მთავრობისა თუ სხვა დონორებისგან წინამდებარე პასუხში აღწერილი საქმიანობისთვის.

[4] ზოგადი აღწერა თუ რამდენი დაიხარჯება ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური გადაიარაღების, მასწავლებელთა პროფესიული განითარების, ტრენინგის და სხვა ძირითად ამოცანებში. დაწვრილებითი/დეტალური ბიუჯეტის წარმოდგენა არ მოითხოვება.